


29.09.2020წ.

გვ. 144



დამტკიცებულია:-----
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

მუხლი 1. შესავალი

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (შემდგომში - მართვის გეგმა) შემუშავებულია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების, „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული მეთოდების საფუძველზე.

მუხლი 2. გეგმის მიზანი

მართვის გეგმა განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეფექტურ მიმართულებებს და ღონისძიებებს, მართვის პროცესის განხორციელებას საობიექტო დონეზე. მართვის გეგმის მიზანია ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომელთა დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა, საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მისი განვითარების შემთხვევაში შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებების შემუშავება/ორგანიზება და შესაბამის პირთა კოორდინირებული ქმედებების უზრუნველყოფა.

მუხლი 3. მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების შეფასება

სასწავლო უნივერსიტეტი მდებარეობს ზომიერი მიწისძვრის ინტენსივობის რაიონში ზუგდიდის ბაზაზე ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში და სენაკის ბაზაზე სენაკის მუნიციპალიტეტში (ქალაქში). მისი განთავსების ტერიტორია მოქცეულია შემდეგი ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების ტერიტორიაზე: (მწყერი, ღვარცოფი, წყალდიდობა და. ა. შ.);

მუხლი 4. ობიექტის დახასიათება

სასწავლო უნივერსიტეტის ცალკე მდგომი შენობა არის სამსართულიანი მონოლითური აგებულების, რომელთანაც განთავსებული გარე პარკინგი. ტერიტორიაზე განლაგებულია ბლოკით ნაშენები სასაწყობე ფართები. შენობას ზუგდიდის ბაზაზე აქვს 3 სავაკუაციო გასასვლელი, სენაკის ბაზაზე 3 სავაკუაციო

გასასვლელი, რომელიც მიემართება გარეთ და აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განცალკევებულ ნაგებობაში განთავსებულია ცენტრალური გათბობისა და გაგრილების სისტემები, რომელიც აკმაყოფილებს ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნებს.

შენობა უზრუნველყოფილია წყლითა და ელექტროენერგიით. მათი ჩამკეტი/გამშვები მარეგულირებელი მოწყობილობების და გაყვანილობის არასწორი ექსპლუატაციის გამო შესაძლოა წარმოიქმნას ხანძარი/ავეთექება.

გაზის მიწოდება ხორციელდება განცალკევებულ ნაგებობაში (საქვაბეში). შენობაში არის დამონტაჟებული შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება, რომელიც აკმაყოფილებს სახანძრო ნორმებსა და წესებს.

განთავსებულია საევაკუაციო გეგმები.

მუხლი 5. პერსონალის და სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების სწავლება

1. სასწავლო უნივერსიტეტის პასუხისმგებელი პირების, პერსონალისა (ადმინისტრაციული/აკადემიური/დამხმარე/მოწვეული) და სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების გადამზადება ითვალისწინებს მათთვის საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესების გამომუშავებას, მათი შრომითი და საწარმოო-ტექნოლოგიური უსაფრთხოების ამაღლებას.

2. სასწავლო უნივერსიტეტის პასუხისმგებელი პირების, პერსონალისა და სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების სწავლება ხდება უშუალოდ ადგილზე, სულ მცირე ექვს თვეში ერთხელ.

მუხლი 6. საგანგებო სიტუაციების მართვის ჯგუფი, ფუნქციონალური მოვალეობები და საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა

1. სასწავლო უნივერსიტეტის საგანგებო სიტუაციების მართვის მიზნით იქმნება საგანგებო სიტუაციების მართვის ჯგუფი, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება შესაბამისი აქტით.

2. საგანგებო სიტუაციების მართვის მართვის ჯგუფი ანგარიშვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

3. საგანგებო სიტუაციების მართვის მართვის ჯგუფი:

ა) პასუხისმგებელია სასწავლო უნივერსიტეტის საგანგებო სიტუაციებზე მუდმივი მზადყოფნისათვის, რეაგირების დაგეგმვისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე მშვიდობიან და ომის შემთხვევაში.

ბ) მართვის ჯგუფის ვალდებულია მოამზადოს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა და ამოქმედოს საგანგებო სიტუაციების დროს. თანამშრომლებისათვის საშიშროების შესახებ შეტყობინება და შესაბამისი ქმედებების ორგანიზება.

4.მართვის ჯგუფს ევალება:

- მართვის და შეტყობინების ორგანიზება;
- თანამშრომელთა დადგენილი წესის მიხედვით დროული ევაკუაცია უსაფრთხო ადგილებში;
- ექსტრემალური სიტუაციების განვითარების შემთხვევაში სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება;
- ორგანიზაციაში ყველა დონის სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედებების სწავლების ორგანიზება და განხორციელება;
- შეიმუშაოს ევაკუაციის გეგმა;
- განსაზღვროს შენობის საევაკუაციო გზები და გასასვლელები, იზრუნოს მათზე მანიშნებელი ნიშნების დაყენებაზე;
- ორგანიზება გაუკეთოს თანამშრომელთა რაოდენობის განსაზღვრას მათი ოპერატიულად ევაკუაციის მიზნით;
- მონაწილეობა მიიღოს ევაკუაციის შემთხვევაში ევაკუირებულთა მომარაგებაში პირველადი მოხმარების ნივთებით;
- აქტიური მონაწილეობა მიიღოს ობიექტის რეაგირების გეგმის შემუშავებაში, ევაკუაციას საკითხების დაზუსტებაში;
- საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში იცოდეს და წინასწარ ჰქონდეს მომზადებული თანამშრომელთა უსაფრთხო ადგილებში გადაადგილებისათვის საჭირო მონაცემები;
- ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში სპეციალური სიგნალებით, დროულად შეატყობინოს თანამშრომლებს ევაკუაციის დაწყება და ორგანიზება გაუკეთოს დანიშნულ დროში სრული შემადგენლობით თანამშრომელთა გამოცხადებას შემკრებ პუნქტზე, მათი უსაფრთხო ადგილებში გადასაყვანად.
- აქტიური მონაწილეობა მიიღოს რეაგირების გეგმის შემუშავებაში.

- ორგანიზება გაუკეთოს მართვის, კავშირისა და შეტყობინების მუდმივ მზადყოფნას.
- დროულად განახორციელოს შეტყობინება ხელმძღვანელი პირების და პერსონალის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.
- პერსონალისა და სტუდენტების ჯანმრთელობის დაცვა;
- გეგმით გათვალისწინებულ ტრენინგებს სამედიცინო უსაფრთხოების თემებზე;
- პირველადი სამედიცინო დახმარება არმოუჩინონ დაზიანებულ ადამიანებს;
- საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულები გადაჰყავთ სამედიცინო დაწესებულებებში სამკურნალოდ;
- სასწავლო უნივერსიტეტში შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ აცნობებს შესაბამის მუნიციპალურ სამედიცინო დაწესებულებას.
- ადგილზე მოსულ მეხანძრე-მაშველებს მოახსენოს საქმის ვითარება.
- დაიცვას წესრიგი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცესში;
- უზრუნველყოს საევაკუაციო ღონისძიებების ორგანიზება და წესრიგის დაცვა მისი განხორციელების პროცესში;
- სასტემატიურად ჩაატაროს გეგმით გათვალისწინებულ თემებზე, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობები პირად შემადგენლობასთან;
- რეგულარულად შეამოწმოს საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობა. განგაშის ზარი საგანგებო სიტუაციების განვითარებისას ჩაირთვება განგაშის ზარი (წინასწარ შეთანხმებული ხმოვანი სიგნალის იმიტაციით) და ორგანიზება უკეთდება პირველ რიგში გასატარებელი შემდეგი ძირითადი ღონისძიებების განხორციელებას:
- სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება;

მუხლი 8. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. მართვის გეგმაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე თუ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.